„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

------------------------------------------------

20 აპრილი 2026

2010-2011 წლებში დაბადებულ ვაჟთა საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი 2 (ნევაზა)

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

14-15 მაისი
2026
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2010-2011 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთაც აქვთ სარეიტინგო ტურნირში ასპარეზობის ლიცენზია.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირად მწვრთნელებს საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხული ჰქონდეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოდგენილი იყოს (ან გამოგზავნილი ელექტრონულად gjf.registr@gmail.com ) ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვა). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- მონაწილეთა სია 10 მაისს გამოქვეყნდება საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდზე. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

- დებულება საწევროს შესახებ
- კალენდარი
- საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
- საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
- მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - BAGAGE22
  მიმღების ანგარიშის ნომერი - GE55BG0000000121179301

## IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, დრო, ადგილი, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 14-15 მაისს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 13 მაისი, წასვლის დღე 16 მაისი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ქვეჭიდში (ნევაზა) ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით. წესების სრული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდზე http://gjf.ge/geo/calendar/georgia
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო).
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:
- -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;
- 14 მაისი: -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ;
- 15 მაისი: -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;

## VI. აწონვა

- თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
- აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
- არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათებში;
- ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში;
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

## VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

## VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

**საორგანიზაციო კომიტეტი:**
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407;
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე